№ 6 18 ია̈ნვარი, ქვირა 1866—1876 18 ია̈ნვარი, ქვირა № 6

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, ა̈რტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Отдѣльный номеръ—20 коп. серебромъ.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

Даубечатанныя статьи авторъ не требуетъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა 1876 წლისა

ამ 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს 1875 წელს გამოდიოდა.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება **თ ფ ი ლ ი ს შ ი**—„**დროების**“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ა̈რტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე **სტ.** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ა̈მატუნის სახლებში)..

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба.“*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — **ი**. კ. **მ**. სხოთ. **ნ** და **ანტ. ლ**ორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, **ფოთში ე**. ს **ბ**ა. ლოვთან, **ახალ სენაკს** — **ნიკ. დ**გებუაძესთან, **ზუგდიდს** — **თ**. ტ. ალ. ქ. **ნ**ადიანთ. **ოზურგეთს** — **თ. ა**ნტ. ნაკაშიძესთან, **ყვირილაში** — **მ. დავ. ლ**ომბაშიძესთან, **ბოქრს** — **ვ**ასილ. **დ**. კანოზოვთან, **სიღნაღს** — **ი**ოსებ **ს**ულხანოვთან და **თელავს** — **თ. ლ**ევან **ზ**ანდიერთან.

გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად	**მან.**	**კაპ.**
წელიწადში	8	— „
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა.	2	და 50
ერთის თვისა	1	— „

აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ 1876 წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი.

საქართველო

მეცნიერი მკითხავი ალექსანდრინა

ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად ბისმარკის ქვეყნიდამ გადმოფრენილი მეცნიერი (?) მკითხავი ქალი—ალექსანდრინა.

ეს ერთი თვე იქნება, რაც ის ჩვენს ქალაქს ესტუმრა. თუთხმეტ თუმნად თვეში დაიჭირა ერთი დიდი სადგომი, რომელიც ისეთ ნაირად მოართო, რომ ხამ კაცსა და განსაკუთრებით ქალს ოცნებას აუღელავს: ოთახი შავი ჩითით არის გაკრული, შიგ ბნელა და ერთს კუთხეში რაღაც მანქანების შკაფი დგას, რომლის შემწეობითაც ალექსანდრინა მსურველის წარსულს, აწყოსა და მომავალს გამოიცნობს!

თითო ვიზიტი ამ ქალთან, თითო მკითხაობა თითო მანეთად ღირს.

ამბობენ, რომ დღეში უკანასკნელი ოთხი ხუთი და ხან ექვსი თუმნი შემოსავალი აქვს ამ გამოჩენილს ალექსანდრინასაო. ამბობენ, ამ ორისამი თვის განმავლობაში ხუთასი თუმნის აკერის იმედი აქვსო. ამბობენ, რომ, როგორც ბუზი თაფლს, ისე ესევიან თურმე თფილელი ქალები ალექსანდრინას, განსაკუთრებით დიდ-კაცის ქალებისაგან გაცვეთილია თურმე იმის კიბეები.

ეს, ამგვარი ამბები ხდება ჩვეს ქალაქში; მთელმა ქვეყანამ იცის, აშკარად ატყუებენ ცრუ-მორწმუნე ხალხსა და კაცი ხმას არ იღებს; ხმას არ იღებს ჩვენი პოლიცია, რომელმანც ალექსანდრინას ჩვენს ქალაქში მოსელა, უეჭველია, ყველაზე უმალ შეიტყო და რომლის მოვალეობაა, რომ ამ გვარი მატყუარებისაგან ხალხი დაიცვას.

ბევკერვებს, ძალიან გვაკვირვებს ჩვენ ამგვარი ამბები! ბევკერვებს მით უფრო, რომ, როცა ამისთანა მკითხავი სადმე ჩვენს მოყრუებულს სოფელში ჩნდება, ჩვენ ვყვირით, პოლიცია სდევნის და აქ კი, ჩვენი ცხვირის წინ ხდება ამისთანვე, მაგრამ უფრო ვრცელ ყალიბზე გამოჭრილი მოტყუება ხალხისა, და ჩვენ კი გაჩუმებული ვართ და პოლიციას თითქო ეს ამბავი სრულებით არ შეეხება!

განა სხვა ათას გვარი მოტყუება და ცარცვა-გლეჯა არ ეყოფა ხალხს, რომ ესეც ზედ მიემატა?

ქართული წარმოდგენა

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში, უფ. სუნდუკიანცი მოდათ შემოდის ჩვენს სცენაზე პ ი ე ვ ლ დ ქუთაისელ. ბ. ბ. ბ. ეს ოთხ ნიჭიერი დრამატურგი: იქ ითამაშეს პირველად იმის მშვენიერი კომედია „პ ე პ ო“. შემდეგ მეორე იმის დრამა „ კ ი დ ე ე ე ერ თ ი მ ს ხ ვ ე ერ პ ლ ი“ იქვე წარმოადგინეს ორჯელ და ახლა, როგორც ამბობენ, იქვე მესამე იმის დრამატიულ თხზულების „ ხ ა თ ა ბ ა ლ ი ს“ წარმოდგენას აპირებენ.

თფილისი, ამ შემთხვევაში, ქუთაისის კვალზე მიდის: აქაც ამას წინათ ორჯელ წარმოადგინეს „პეპო“ და ახლა, წასული კვირის ხუთშაბათს, იანვრის 15-ს, იყო „ კ ი დ ე ე ერ თ ი მ ს ხ ვ ე ერ პ ლ ი ს“ წარმოდგენა.

ნურც ავტორი და ნურც ჩვენი სცენის მოყვარენი გაგვიწყრებიან,

ფელეტონი

ნადული

„ღმერთმა მტერსაც ა̈შოროს
მეგობარი შენისთანა;
დილას სხვა ხარ, საღამოს სხვა,
ავ-კარგობის გამოცანა.

„შენს მეგობარს, ტკბილ-მოუბარს
მითი უბნეე გზა და კვალსა,
რომ ხან მასთან გულს იყინავ,
ხან იკიდებ ტრფობის ალსა.

ხან სიცოცხლეს სრულად სწირავს,
ხან უდგები გან-და-განა;
მაგრამ რ დგანც პოეტი ხარ,
უნდა იყო გამოცანა!“

ეს ლექსი მიუწერეს ერთ ჩემს მეგობარს, რომელიც, ცოტა არ იყოს, პოეტია. იმან მე მომიტანა ის უსტარი და შემომჩიველა:

— რათ გვეძახიან პოეტებს საზოგადოთ დაუდგრომლებს, უხასიათოებს და გამოცანებსო? მართალია ესენი ყველა, თუ არაო? და თუ მართალია, უთუოდ საზოგადო კანონიც უნდა იყოს რამეო?

ხანგრძლივის ფიქრის შემდეგ, მე ასე დავასკვენი: მართალია პოეტები რომ საზოგადოთ უხასიათოებსა ჰგვანან და დაუდგრომელებსა; ამაში ეჭვი არ არის; მაგრამ როგორც ყოველივე სხვა რამეს, ისე ამ მიზეზსაცა აქვს თავის კანონი და ამ კანონის ახსნას შეეუდგები ახლა:

საზოგადოდ ბუნებაში არის ორი ძალა: დედალი და მამალი. ეს ერთიერთმანეთის წინააღმდეგი ძალა ერთსა და იმავე ბუნებაში ვერ მოთავსდება, თუ არ ორს სხვა და სხვაში...

ეს ორი დედალ-მამალი ძალა ერმანერთთან შეყრა - შეკავშირებით აჩენენ სხვა ახალ ძალასაც, მაშინ როდესაც ორი ერთგვარი ბუნების ძალა კი ერთმანეთს ალაყებენ.

ვინ არ იცის, რომ ქალი სხვა არის და კაცი სხვა? ერთი დედალ ძალის ბუდეა და მეორე კი—მამალის. ესენი ერთმანეთის განმორებით ორიენი, როგორც უქმი ნახევრები, ქარ-წყალდებიან, მაგრამ შეკავშირებით კი ხალ-ძალას აჩენენ; ესენი უერთიერთმანეთოთ არ ვარგანან, ნახევრები არიან; მაგრამ ერთმანეთთან გარმონიულად შეთანხმებით კი ერთმანეთის ნაკლულევანებს ავსებენ და ერთს სრულს ადგენენ. ისინი როგორც მოთხოვნილებით, ისე ხასიათითაც სხვა და სხვანი არიან; მაგრამ ორივენი კი თანასწორები.

ბევრიც რომ ეცადონ ქალებმა, ათასი მილიც რომ გაიარონ, ათიათასი მილლიც რომ გაიზეპირონ, ისე ვერ გამოცვლიან თავიანთ ბუნებას და მაზედვე დამოკიდებულ ხასიათებს, რომ კაცებს დაემსგავსონ; და აგრეთვე კაცებმაც, ბევრიც რომ იტლინკონ, ქალის ბუნებას ვერ მისწვდებიან.

და ან კი რათ იწოხებენ თავს? მათს ბუნებას თავ-თავისი სამთავრო აქვსთ და უმჯობესია ის განამტკიცონ, თორემ ბიჭობის მჩემებელი ქალი, ისე სასაცილოა, როგორც ქალათ თავ-გაქალიანებული სარდანაპალი!...

ორი რამ ამალლებს და აღმერთებს კაცს: გული და თავი, ე. ი. გრძნობა და ჭკუა. ეს ორი ადამიანის ძალა, როგორც დედალ-მამალი, ბუნებას ერთს ბუდეში არ დაუტევია.

თუ ვერც თვითონ პიესაზე და ვერც პიესის წარმოდგენაზე ისე ალტაცებით ვერ ვილაპარაკეთ დღეს, როგორც ამას წინათ „პეპოზე“ და იმის თამაშობაზე ვილაპარაკეთ.

მართლათაც, თუმცა „ძიდევ ერთი მსხვერპლი“ იმავე ნიჭითა და სცენიკური ღირსებებით არის დაწერილი, როგორც „პეპოს“ ავტორს შეეფერება, თუმცა პიესა თითქო ჩვენი ნამდვილი ცხოვრებიდამ ამოღებული სურათებია და ჩვენ კარგათ ნაცნობ პირებს წარმოადგენს, მაგრამ თვითონ ფაბულა, შინაარსი პიესისა არ არის ისე ღრმა, ისე ხელოვნურად შემუშავებული, როგორც „პეპოსი;“ ამისთანა შინაარსის პიესები, პიესები, რომლებშიაც ახალსა და ძველს თაობას შუა, მამას და შვილს შუა განხეთქილებაა გამოხატული, ერთობ ბევრი გვინახავს, და აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ თუ ამგვარი პიესა რითიმე განსხვავებული, უჩვეულებრივო არ არის, ის ჩვენს გონებაზე და გრძნობაზე მაინცა-და-მაინც შესამჩნევს ზედ-მოქმედებას ვერ მოახდენს.

რასაკვირველია, პიესის ღირსების დაფასება წარმოდგენაზედ, თამაშობაზედაა დამოკიდებული; (დამტკიცება: ესვე პიესა ქუთაისის სცენაზედ, სადაც უკეთ ითამაშეს, ბევრად უკეთესად მოგვეჩვენა, ვიდრემ აქ).

ამიტომაც სამწუხაროა, რომ ეს პიესა პირველადვე ტფილისის საზოგადოებას ასე სუსტის სახით წარმოუდგინეს.

ორი მომქმედი პირია ამ პიესაში ისეთი, რომელიც მთელი პიესისა და წარმოდგენის სულის ჩამდგმელია: ანნი—გასათხოვარი ქალი და მიხეილი—იმის საქმრო ახალგაზდა; და ორთავემ სუსტათ ითამაშეს. აკაკი წერეთელი (მიხეილი) პოეტია და როგორც პოეტი ყოველთვის ერთს გუნებაზე, ერთს ხასიათზე არ არის: თუ გუნებაზე არ არის, იმის დანახვა სცენაზე სასიამოვნო სურათს არ წარმოადგენს: თამაშობა უხეირო, სიტყვები უგულო, უსულო, მიხვრა-მოხვრა უშნო. მის მაგივრად, ღმერთმა მოგცესთ იმის თავი, როცა კარგ გუნებაზედ არის: ცოცხალი, მახვილი, ლაზათიანი, გამჭრიახეთ აღმასრულებელი თავის როლისა.

ხუთშაბათს ის უთუოთ უხეირო გუნებაზედ იყო და ამიტომ ამის-დაგვარათ მიხაილის როლიც იმის თამაშობაში უხეირო და უგულო გამოვიდა.

ანნის როლის აღმასრულებელს (მლ. ყიფიანისას,) თუმცა თავის შესაფერი როლი ვერ აელო, მაგრამ მაინც ჩინებულად, ნიჭიერად ითამაშა. მხოლოდ ერთი ნაკლულევანება ჰქონდა: ერთობ ბევრს, ერთობ ხშირად ტიროდა. მწუხარება და დარდი განა მარტო ცრემლითა და ტირილით გამოიხატება!

დანარჩენ მოთამაშეებმაც სუსტათ აასრულეს თავის როლები, გარდა ოლ. ყაზიბეგისა (ნატო ბრილიანტოვის ასული და სალომე—სურათოვის მეუღლე) და პ. ყიფიანისა (სურათოვი), რომელთაც ხელოვნურად ითამაშეს და სხვების შეცოდებანი გამოისყიდეს.

ყველას საზოგადოთ კი როლების უცოდინელობა ერთობ აშკარათ ეტყობოდათ და ამის გამო სუფლორისაგან ხმის ძალის დატანებას მაყურებლებზე ცუდი შთაბეჭდილება ჰქონდა.

სასურველია, რომ ეს პიესა, რომელსაც, როგორც ზევით ვსთქვით, ბევრი უეჭველი ღირსება აქვს, მეორეთ იყოს ჩვენი მოყვარეთაგან წარმოდგენილი, მაგრამ უფრო თადარიგით და უკეთესის მომზადების შემდეგ.

დღიური

—

ამ ოთხი-ხუთი თვის წინათ, ჩვენს ქალაქში იყო პეტერბურღის უნივერსიტეტის ადრინდელი რექტორი და ახლა პროფესორი კ. თ. კესსლერი, რომელიც სამეცნიერო მიზნით კავკასიაში მოგზაურობდა.

ახლა გაზეთში იწერებიან, რომ უფ. კესლერს ბუნების გამომძიებელს სამეცნიერო საზოგადოებაში წარუდგენია თავის მოგზაურობისა და გამოკვლევების ანგარიში და, სხვათა შორის, შემდეგი შესანიშნავი ჰაზრი გამოუთქვამს:

„კავკასია უხვად შემკობილია ყოველ გვარის ბუნების სიმდიდრითა: უხვად შემკობილია სხვა და სხვა მოდნეულობით, ათასნაირის პირუტყვებითა და მცენარეობით. მაგრამ, საუბედუროთ, ყველა ეს სიმდიდრე დღემდი გაუცნობელი და გამოუკვლეველი რჩება.

„ამის გამო, ჩემის ჰაზრით, აუცილებელ საჭიროებად ვხედავ, რომ ტფილისში ორი უმაღლესი ფაკულტეტი (უნივერსიტეტი) გაიხსნას: ბუნების მეცნიერებისა და ისტორიკო-ფილოლოგიური.“

ამჟამად ჩვენ არაფერი არ გვინდა, რომ ამ პატივცემული პროფესორის სიტყვებს დაუმატოთ...

* * *

ჩვენს უეზდის ქალაქებშიაც დაუწყიათ ახალი ქალაქის გამგეობისათვის დეპუტატების (ხმოვანების) ამორჩევა. ოზურგეთიდამ გვწერენ, სხვათა შორის, რომ ეს კენჭის ყრა უაყ ლ-მაყ ლოთ და უპარტიებოთ არ გათავებულა: მცხოვრებლები და ვაჭრები ორ ბანაკად გაიყვნენო: ზემო-უბნელებად და ქვემო-უბნელებადაო და ყველას კი უნდოდაო, რომ ქალაქის ხმოვანად აერჩიათო.

იმედი გვაქვს, მალე შევიტყობთ—როგორ გათავდა ეს ახალი წესით ქალაქის გამგეობების შედგენა ჩვენს უეზდის ქალაქებში.

* * *

ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა უფ. ადვოკატის ბლოკეს საქმე და გადაწყვიტა, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სეკრეტრის დაქრთამის სურვილისათვის უფ. ბლოკეს ექვსი თვის განმავალობაში ჩამოერთმევა ვექილობის უფლებაო.

* * *

სურამის ქედზე, როგორც გვწერენ და მომსვლელები გვეუბნებიან, დიდი თოვლი სძევსო და ხშირად ზვავი ჩამოდისო მთებიდამ; ამის გამო თითქმის ყოველ კვირის განმავალობაში უკანასკნელად ამ დღეს თავის დროზე ვერ დაიარება რკინის გზაო; ხანდისხან მოგზაურები ორ დღეს რჩებიან შიქათუბანში ან ხაშურშიო და ხან აისევ უკან ბრუნდებიანო.

ახლა, ერთი რამ საშუალება როცა იქნება უნდა მოიფიქროს ფოთი-ტფილისის რკინის გზის გამგეობამ თუ არა?!

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ ხვალ, 19 ინვარს, მუზიკალური საზოგადოების ზალაში, იქნება კონცერტი ოკულიჩის ქალისა, რომელშიაც, სხვათა შორის, კ-ნა ბებუთოვისა და შევალიესაც მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

„ტფილისის მოამბეს“ გაუგონია, რომ უფ. აბგარ-იონესიანი ამ წლის 1 ივლისიდამ სომხური ჟურნალი გამოცემას აპირებს. ჟურნალი გამოვა სამთვეში ერთხელო, თანამშრომლები თავის შრომის ფასს მიიღებენო.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

შორაპნის მაზრა, იანვრის 9 ს

ჩვენ გლეხებს ძლიერ ბევრი ლაპარაკი აქვსთ ერთის უეზდის ნაჩალნიკის მოთხოვნილობაზე: გამოუცხადეს ამას წინეთ, რომ მაინც-დამაინც დაბა ყვირილიდამ საჩხერემდინ ფოჩტები უნდა დაწესდესო და ამისთვის ფული უნდა გარდიხადოთო. თუმცა როგორც ამბობენ, ეს მაღალი მთავრობის ბრძანება არ ყოფილა.

გლეხებმა სთქვეს, ასე გამოგვიცხადეს ყვირილიდამ საჩხერისაკენ ბევრი ჩინოვნიკები მიდის-მოდისო და დიდი ღრანღლებიცაო.

გლეხებმა ამ ფოჩტის დაარსებაზე უარი განუცხადეს. ჩვენ სამ სამი ცხენი ყოველ კანცელარიაში გვყავს დაყენებული და ისიც კმარაო და სხვა აღარა შეგვიძლიანო.

ეხლა უეზდის ნაჩალნიკს მიუწე-

მათთვის დაუწესებია სხვა და სხვა ბინა: კაცისათვის მიუცია თავი და ქალისათვის გული. ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ კაცებს გრძნობა არ ექნებათ და ქალებს ჭკუა-თქო, არა; შეიძლება, რომ ქალი მილიონ კაცებზედაც უჭკვიანესი იქნეს და აგრეთვე კაცი ქალებზედ უგრძნობიერესი; მაგრა მე აქ უკიდურესს, ე. ი. უზენაესს წერტილს ვიღებ ჭკუა-გრძნობისას.—თუ ავიღებთ უკიდურეს წერტილს კაცის ჭკუისასა (რომელიც ჯერ, რასაკვირველია, არ გვინახავს) და შევადარებთ უკიდურესსვე წერტილს ქალის ჭკუისას მაშინ დავრწმუნდებით, რომ მეორე პირველს ჩამორჩება. აგრეთვე გრძობაზედ შეგვიძლიან ვსთქვათ; სად ქალი და სად კაცი? ქალი გადააჭარბებს!...

რა ვქნათ, ეს აუცილებლათ ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც გული დედალი ძალაა და თავი კი მამალი; ორივე ერთს გვამში ვერ მოთავსდებოდა, და არც ივარგებდა, რომ მოთავსებულიყო!..

ამ საზოგადო წესიდამ მხოლოდ პოეტები არიან გამორიცხულნი; იმათ გული ქალისა აქვსთდა თავი კი კაცისა. ეს ორი თანასწორი ძალი, შეცდომათ, ერთს გვამში მოთავსებულა.

კაცი თავის ცხოვრებაში მოქმედობს თავით, გულს ადვილად ერევა, რადგანც უსუსტესი აქვს თავზედ, და ამის გამო მის მოქმედობაში იხედება ერთგვარობა და დადგრომილობა! ქალის გული როგორც უძლიერესი მუდამ იმორჩილებს თავს და მის მოქმედებაშიაც ერთგვარობა, ერთ-ხასიათობა იხატება.

მაგრამ რა უნდა ჰქნან საბრალო პოეტებმა, რომელთაც თავიცა და გულიც ერთის ძალისანი აქვსთ? მათ ბუნებაში ეს ორი ძალა მუდამ იბრძვის: ხან ერთი იმორჩილებს და ხან მეორე. გული გაიმარჯვებს,—პოეტი გრძნობას მისდევს; და თავი გაიმარჯვებს—გონიერებას...

აი რა მიზეზია, რომ მათს მოქმედებაში ორგვარობა იხატება. აი რათ გვეჩვენებიან ჩვენ პოეტები დაუდგრომელებათ და უხასიათოებათ!

აქვსთ პოეტებსაც დრო ხან-დახან, როდესაც მათი თავი და გული ერთმანეთს უთანხმდებიან. მაშინ ისინი ემსგავსებიან მაღალს ზეგარდმოჩაგონებულ-ქმნილებაებს და მაშინ კი, დიახ, უტყუარად მიგვაჩნია მათი სიმღერა.—

ვისაც კი უყვარს ადამიანობა, იმას, რასაკვირველია, როგორც ქალი ისე კაციც უნდა უყვარდეს და მაშა სადამე პოეტშიაც გიყვარდესთ ორივე: როგორც ქალური, ისე კაცური მისი მხარეებიც და მაშინ ისინი აღარ მოგეჩვენებიან უსიამოვნო გამოცანეებათ. და როდესაც გითხრასთ პოეტმა:

„სიყვარული არა მწამს,
მაგრამ შევსტრფი მე მას წამს.
მეგობრისთვის მოვჰკვდები,
თუმც კი ვასმევ საწამლავს.“

ეს ორი ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი სიტყვები ორივე წმინდის გულით ნათქვამათ მიიღეთ და თავდარიგი იქონიეთ.

გიორგი ქართველიშვილი

—

რია სამოცდა თხუთმეტს კომლზე ხუთ-ხუთი ცხენი გამოგზავნეთ თითო კვირაშითო. ეს ცხენები ხუთი ყვირილაში უნდა იყოსო, ხუთი ბოსლევში და ხუთი საჩხერეშიო. სამი ცხენი სოფლებში სანიარულოთ კიდევ სხვა არის. ძლიერ გასაკვირველია ეს განკარგულება. ვისთვის აყენებენ ამ ცხენებს? აბა ერთი იანვრიდან რამდენი ჩინოვნიკი წასულა საჩხერისკენ ამ წელში. ის სამი ცხენიც ტყუილა დგას და წამსვლელი ჩინოვნ-კები არავინ არის; ეს თხუთმეტი ცხენი რაღა საჭირო არის?

გლეხები ამბობენ, ისეც გვაცლიან ცხენებს ხელში ქურდებიო და თუ გვყავს ცისმეს, მამასახლისები, მწერლები და მათი იასაულები გვართმევენო და აქეთ-იქით დაბრძანდებიანო.

აქ ახალი წყობილება გამოაცხადეს ვაჭრობისა.

მაგრამ როგორი მოწმობები უნდა აიღონ ვაჭრებმა, არათუ გლეხებმა ნასწავლებმაც ვერ გაიგეს. ერთი ვაჭარი ოთხ-ხუთ მოწმობას იღებს და რაში აძლევს ფულს, არ იცის!

გლეხებს ამ უკანასკნელ დროს ძლიერ უჭირს ცხოვრება. ბევრი გლეხი სტოვებს თავის საყვარელ სოფელს და ატირებული მიდიან იქ, სადაც ადგილის ყიდვა შეიძლება. ეს საწყალი გლეხები მიდიან და თავადაზნაურიშვილების ადგილზე ესახლებიან. ზოგი შინაურული ნასყიდობით ყიდულობს ადგილს და ზოგი კანონიერი ნასყიდობის წერილით. მაგრამ საცოდავებს აქაც ატყუებენ. ოთხმოც ქცევას რომ ყიდულობდნენ ადგილს, ეუბნებიან, ბაჟი გადაგხდებათ ბევრი და ადგილის ზომა ცოტა დაწერეთო, და ხომ შენი იქნება, ვინ წაგართმევსო? როგორც ფულებს აიღებს, ორ-სამ წელს შემდეგ იჩივლებს: ჩემი ადგილი შეიტანა ჩემთან მიყიდულს ადგილშიო და გთხოვთ, ჩამოართვათო. გლეხს ხელახლა სასყიდლათ უხდება ადგილი.

N. N.

რუსეთი

გაზეთს „კიევლიანინს“ გაუგონია, რომ ქალაქს ხარკოვში აპირებენ მუშა ხალხისათვის ბანკის გახსნას. ამ ბანკის პროექტის შედგენა პროფესორს ცეხნოვსკის უკისრია.

* * *

გაზეთი „ვორონეჟის ტელეგრაფი“ აცხადებს, რომ 13 დეკემბერს, ღამე, ვიღაცას დიდი უშველებელი ზარი მოუპარავს სამრეკლოდამ. „ნეტავი სად უნდა წაიღოს ქურდმა ასეთი უშველებელი ზარიო?“ ამბობს გაზეთი.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. („დროებ.“ კორრესპონდენ. გაგრძელება) ნაციონალური კრება, შემდეგ ნემცებთან მორიგებისა, გადმოვიდა ვერსალში. ეს დაუვიწყარი კრება პარიჟს შესწყრა და დაჯილდოების მაგიერ გააუბედურა, ჩამოართვა საფრანგეთის დედა-ქალაქობის ღირსება იმ ქალაქს, რომელიც ყოველთვის საფრანგეთის თავი და გული ჰყოფილა და დანიშნა ლუდოვიკე XIV ს სალხინო ქალაქი ვერსალი საფრანგეთის დედა-ქალაქათ. შემდეგი მოქმედება ამ კრებისა ამ დასაწყისით შეიძლება დაფასდეს.

ეხლა კრებას და პრეზიდენტს ტიერს უმძიმესი მოვალეობა ედვათ: 1) ცოტ-ცოტათი საფრანგეთის ტერიტორია უნდა განეთავისუფლებინათ მტრის ჯარისაგან; ამისთვის საჭირო იყო ხუთი მილიარდი ჯარიმის გადახდა, რომელიც საფრანგეთის მმართებლობას უნდა ესესხნა ბანკირებისაგან; 2) ამ უკანასკნელ ომის გამო საფრანგეთს ჯარი სრულიად დაელუპა, მაშასადამე საჭირო იყო ქვეყნის მშვიდობიანობისა და სიმაგრისათვის ახლათ ჯარი გამოეწყო და მოეხდინა ის ცვლილებაები და უკეთესობა, რომლის ნაკლულევანებისა ამო საფრანგეთი ასე მოულოდნელათ დაამარცხეს და 3) თვით ქვეყანა აშფოთებული და აღელვებული იყო, ამისთვის საჭირო იყო გონიერი და ძლიერი მმართებლობა და კანონიერათ ქვეყნის მართვა.

აი როცა ამდენი ნაკლულევანების გაუმჯობესობას მოსდგა ტიერი, ქვეყნის საუბედუროთ ატყდა ურთიერთ-შორის ომი და ძმათ სისხლის ღვრა.

ამის მიზეზი იყო შემდეგი შემთხვევა:. პარიჟელები თანახმათ არ გაუხდენ ტიერის მმართებლობას ომის შეწყვეტაზე მტერთან და უფრორე ტერიტორიის (ელზარის და ლორენის) დათმობაზედ. ამისათვის პარიჟის მმართებლობამ ანუ პარიჟელმა კომუნამ მოსთხოვა ვერსალის მმართებლობას და პრეზიდენტს ტიერს, რომ პარიჟისათვის მიენიჭებინათ საკუთარი მმართებლობა, რომელს ჰქონოდა უფლება საკუთრად სხვისგან დამოუკიდებლათ მართვის ნება; აგრეთვე ესენივე თხოულობდნენ, რომ ყველა საფრანგეთის კუთხეებისათვის მიენიჭებინათ ამ გვარივე უფლებანი. ამათ ამ წინადადების დასამტკიცებლათ მოჰყავდათ შემდეგი საბუთი: როცა ყველა კუთხეს, ყველა ქალაქს ეყოლება საკუთარი, სხვისაგან დამოუკიდებელი მმართებლობა, როცა ეს განცალკევებული, თითქოს პატარ-პატარა სახელმწიფოები შეადგენენ ერთად ერთ ამხანაგობას, ერთ ფედერაციას (შეერთებულს სახელმწიფოს), მაშინ თავთავიანთ საქმეებს ყველანი კარგათ მოუვლის და ფედერაციისაგან ამორჩეული მართველი სრულიად დამოკიდებული და მხედველობის ქვეშ იქნება ყველა ამომრჩევლებისაგანო.... ამასთან კიდევ ბევრი სხვა საბუთები მოჰყავდათ.

მაგრამ რასაკვირველია ამ მოთხოვნილებას ვერსალის ნაციონალურ კრებამ და პრეზიდენტმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ამ უთანხმოებას მოჰყვა ომი, რომელიც გაგრძელდა თითქმის სამი თვე, სამი თვე თანამოძმეებთა შორის სისხლის ღვრა. ბოლოს ტიერმა თავის ჯარებით, იმ ჯარებით, რომელიც ნემცებს ღირსეულათ ვერ ეომეს და ვერ დაიცვეს მტრისაგან საკუთარი სამშობლო, თავისუფლება და საკუთარი კერა, აი ამგვარი ჯარის შემწეობით დაიმორჩილა საქვეყნო დედა-ქალაქი, პარიჟი. უბედურ პარიჟს თავის წინააღმდეგობა ძვირათ დაუჯდა, და თუ მართალია, რასაც ამბობენ, პარიჟში ამ ომში დაუხოციათ ასი ათასამდის. რა სამწუხარო სურათს წარმოადგენს ეს მხეცური მოქმედება ვერსალის ჯარისა და მათი სარდლის მარშალი მაკ-მაჰონის, ეხლანდელი რესპუბლიკის პრეზიდენტის, განკარგულება და მოქმედება.

დაწყნარდა როგორც იყო პარიჟიც. ეხლა ტიერს გაეხსნა გამჭრიახობის და მოქმედების ასპარეზი; წინააღმდეგი არავინა ყავდა, თვინიერ ერთ საქმეში — სამუდამოდ და კანონიერად რესპუბლიკის დაარსებაზე.

ორი წლის განმავალობაში, მინამ პრეზიდენტათ იყო, ტიერს ცდა არ დაუკლია საფრანგეთის წარმატებაზე. მისის თაოსნობით გაჩნდა ახალი ჯარი ახალის რეფორმებით; გააუმჯობესა სამხრო იარაღები; გაამაგრა, რაც შეიძლებოდა, ციხეები. და მოახდინა სამხედრო ნაწილში ის ცვლილებაები, რითაც ნაპოლეონის ჯარი სუსტი იყო.

საფრანგეთის ტერიტორია განათავისუფლა მტრის ჯარებისაგან; ამ მიზნის მისაღწევნათ საჭირო იყო სამი მილიარდის სესხი, რადგანაც ორი მილიარდი, თვით სახელმწიფო ხაზინის შემწეობით, მმართებლობის ხელში იყო; როგორც კი ტიერმა გამოაცხადა, რომ საფრანგეთს ეჭირვება და უნდა ისესხოს სამი მილიარდიო, მაშინვე მთელი ევროპის ბანკირებმა დიდის სიამოვნებით შეაძლიეს არა თუ სამი მილიარდი, არამედ ორმოცი მილიარდი, რომელიც შეადგენს ნახევარს საქვეყნო სავაჭრო კაპიტალს. რა განუსაზღვრელი ნდობა აქვს და ჰქონდა საფრანგეთს! საოცარი არ არის, როცა ქვეყანა ამ გვარათ დაცემული იყო და თითქმის უმართებლობოთ, ჯერ კიდევ დაუმშვიდებელი, და კიდეც კაცმა არ იცოდა, თუ ხვალ როგორი დღე გაუთენდებოდა, აი მაშინ მთელმა ევროპამ, მთელმა ამერიკამ თავისი უკანასკნელი ლუკმა პური ანდო! მართლა საკვირველ სურათს წარმოადგენს ამ გვარი საფრანგეთის ნდობა და სიყვარული.

ოთხი წლის მაგიერათ საფრანგეთმა ეს აუვარებელი ჯარიმა ხუთი მილიარდი სამს წელს გადაიხადა, ისე რომ ქვეყანას არა თუ არ მოაკლდება თავის სიმდიდრე, ვაჭრობა და ნაღდი ფული, არამედ ქვეყნის კეთილდღეობამ ორ წილათ იმატა.

შესახებ ქვეყნის მშვიდობიანობისა, ტიერმა გამოიჩინა დასტურ სახელმწიფო ჭკუა. ცალ-ცალკე პროვინციების მართველათ დანიშნა პატივცემული და ყველასათვის საიმედო პირები. ქვეყანა შეაჩვია ახალს წყობილებას სიყვარულით და სიმართლით საზოგადოების მავნებელ პირებს მიაყენა ღირსეულ დასჯა. ვინც იმიანობისაგამო დაზიანებული იყვნენ, ყველას დროზე შემწეობა მისცა; — ასე რომ ორი წლის განმავლობაში, ქვეყანა სრულს მშვიდობიანობას და განცხრომას მიეცა.

ამ გვარ ჭკუიან წყობილებამ და საიმედო მმართებლობამ საფრანგეთს დაუბრუნა ის პატივისცემა და გავლენა, რაც ამდენ ხან ჰქონდა გარეშე ქვეყნებში.

ამითი ჯერ კიდევ არ გათავებულა ტიერის შრომა: მას ზნეობითი ვალდებულება ედვა, რომ ქვეყნისათვის მიეცა ის დაბოლოებითი მართებლობა, რომელიც მისთვის ამ დროებით საჭირო, საუმჯობესო და სასურველი იყო.

დ. დ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

პარიჟი, 8 იანვ.

ნარევი

გამოკვლეულია, რომ მეტის-მეტი სიგარის კომლი საწამლავია ადამიანისათვის. ხიმიკოსს შევალიეს მოჰყავს მაგალითად ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც სანაძლეოთ 12 სიგარა მოეწია ზედი-ზედ. მერვე სიგარის შემდეგ, ცუდ გუნებაზე დადგა; მეცხრეს შემდეგ — ცივებასა და თავ-ბრუ გრძნობდა; მეათეს შემდეგ ცივება და თავბრუ გაუძლიერდაო და ტანის მანჭვა და პირიდამ საქმება დააწყებინა. ამის შემდეგ მეტი სიგარის მოწევა ველარ შეიძლოო, და იმ ღამის განმავალობაში კიდეც მოკვდაო.

* * *

ქუთაისის რკინის გზის სტანციაზე ერთი გლეხი ეხვეწება მღვდელს:

— მამაო, ამ ფულით, შეგეწიოთ ღმერთი, ყვირილამდინ მესამე კლასის ბილეთი აიღეთ.

— შენთვინ გინდა, მამაო, თუ სხვისთვის? — ჰკითხავს მღვდელი.

— ჩემთვის აღებული მაქვს; მაგრამ აგერ სხვა მეხვეწება....

— მოგცლია, შვილო! უპასუხებს მღვდელი, ამოტენა ხალხში სხვისთვის კი არა, ჩემთვისაც რომ მინდოდეს, ვერ შევატან. შენთვის ხომ აღებული გაქვს, ძმაო, ბილეთი, და სხვისთვის რათ ზრუნავ?

გლეხმა ახედ-დახედა ამ მღვდელს, მიუბრუნდა და თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— მღვდელი მაგას ამბობ, ერმა რაღა მითხრას?!

* * *

პარიჟში და ნიუ იორკში თბილის სისხლით წამლობა (ხარის ძარღვებიდამ ახლათ ნადენი სისხლით) ჭლექიანებისა თან-დათან შემოდისო. ნიუ-იორკში მაგ. 200 კაცამდე მეტი მუდამ დგანანო, რომელსამ სასაკლაოსთან სტაქნებით ხელში, რომ თბილ სისხლი დალიონო. ზოგიერთი ზიზღით სვამს თურმე და ზოგი კი ახალათ ნაწველ რძესა აგონებსო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ



ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ საშზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲝᲒᲘᲗᲘᲡ ᲥᲘᲜᲝ-ᲒᲚᲘᲪᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡᲐ**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡᲛᲪᲝᲜᲔᲡ და რეკომენდაციის წიგნი აქვ

ქიმიის პროფესორისა ᲚᲐᲜᲓᲒᲠᲘᲜᲘᲡᲗᲐᲜ დანიშნულისა, ᲕᲔᲜᲐᲨᲘ, უ. ᲙᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვალება ამისი.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲗ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსელეპილი თაეიც კი მალე თმით იმოსება. ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲐᲗ თაეის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითს სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატიეცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲙᲘᲡᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

ᲞᲝᲛᲐᲓᲐ
„PASTA EUGENIE“

ᲐᲛ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ** ᲚᲐᲜᲙᲝᲡ მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ** — სეგალთან და **ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ** ᲙᲣᲠᲘᲚᲚᲐᲓᲐᲪ. ᲞᲘᲠᲘᲡ სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პირისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტია არის ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲙᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ და ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ მოწმობა.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 60 ᲙᲐ�პ.

ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.



ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲐᲡ, რომ მოწერა. ᲧᲘᲓᲕᲘᲡ დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. ᲞᲐᲛᲐᲓᲐ „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ᲐᲛᲣᲠᲘᲡ სურათით და გამამგონის ხელის



ᲡᲐᲪ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ კანის ავათ მყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდ

ᲮᲔᲚᲘᲡ

ᲓᲐᲒᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐᲡ — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ — თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

ᲩᲔᲜᲙᲝᲡᲗᲐᲜ, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთიბიცა.

ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ „Pasta“ მითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებული სიშავე სრულიად იკარგება და მსწორ-ფერ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲚᲔ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲘᲡᲐᲮᲔ ᲰᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ. ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲙᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ და ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ მოწმობა.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 60 ᲙᲐᲪ.

ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲐᲡ, რომ მოწერა. ᲧᲘᲓᲕᲘᲡ დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. ᲞᲐᲛᲐᲓᲐ „Pasta“ გამოსურათით და გამამგონის ხელის

ᲡᲐᲪ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ კანის ავათ მყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდ

ᲮᲔᲚᲘᲡ

BERTHAE RIES.

ᲙᲐᲛᲐᲓᲐ

ᲔᲡ ᲞᲐᲛ. და ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲘᲜᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲔᲡ ამ თვისებებს.

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 30 ᲙᲐᲪ.

ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ — ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ᲤᲐᲡᲘ სამი მანეთი.

ᲢᲣᲚᲙᲐᲘᲡ ᲒᲐᲚᲖᲐᲛᲘ — საშუალება მაზოლისათვის. ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲪ.

54—2

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲐᲚᲔᲒ ᲒᲘᲪᲔᲛᲝᲑᲘᲗᲘ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

Ⓜ. Ⓢ. ᲒᲔᲗᲐᲜᲔᲚᲘ

Ⓓ. Ⓐ. ᲜᲔᲒᲚᲘ

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐ
ᲒᲔᲗᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲨᲘ (ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ)
ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1874 ᲬᲔᲚᲡ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲥᲕᲡ:

ᲠᲬᲧᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ᲛᲐᲢᲧᲚᲘ, ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ, ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲘ, ᲒᲖᲘᲡ ᲮᲔ, ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲘ და სხვა ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ნაწარმოები.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲚᲐᲥᲕᲡ:

სამეურნეო იარაღები, რკინისა და ფოლადის ხელობა და ყოველ გვარი მშინები.

მთავარი აგენტები რუსეთისა ᲰᲔᲜᲠᲘᲰ ᲓᲘᲡᲢᲝᲜᲘᲡᲐ და ᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახერხავი მაშინებისა (Henry Disston et Sons' Keystoue Saw, Iool, Steel et Fil Works, Philadelphia) და ოცი სხვა ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ საუკეთესო ფაბრიკებისა და ქარხნებისა.

ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲨᲘ: Betanelly et C.°, 430 Walnut Street. Philadelphia, Pa. United States of America.

Ⓜ. Ⓢ. ᲒᲔᲗᲐᲜᲔᲚᲘ, ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲘᲓᲐᲛ, ამ ᲬᲚᲐᲓ მოკლე დროსთი ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ იმყოფება და საქმეთათვის მიიღებს მსურველთ ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით, დილის 10 საათიდამ შუადღემდი და ნაშუადღევის 3 დამ 6 მდი, „ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ“ სასტუმროში.

6—3

ᲓᲐᲘᲒᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ და ამხ. წიგნის მაღაზიაში და ᲐᲜᲩᲘᲡᲮᲐᲢᲘᲡ სობოროს გალავანში Ⓘ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲝᲕᲗᲐᲜ.

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲐᲜᲣ

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲗᲐ სიტყვათა, შესახებ ისტორიულის და გეოგრაფიულის სტატიებით; ამასთანავე მეორე ნაწილი განმარტება ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ წარწერილთა.

შედგენილი და გამოცემული Ⓘ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

(3—1)

ᲚᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ

„ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ“

ᲐᲮᲐᲚᲐᲓ მოიტანეს ჩინებული ᲚᲕᲘᲜᲝᲚᲔᲑᲘ და ძალიან იაფ ფასად ისყიდება. ᲮᲐᲖᲒᲐᲓᲝᲑᲐᲡ სთხოვენ. ამ ლვინოს ყურადღება მიაქციონ.

3—2

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Ⓣფილისი .	9	36	4	54				
Ⓜცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
Ⓑორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	2	—	11	10	3	92	2	18
Ⓑეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
Ⓩვირილა .	—	—			5	81	3	23
Ⓓუთაისი. .	8	23			6	75	3	75
Ⓢამტრედია.	—	—			7	73	4	29
Ⓐხ.-Ⓢენაკი.	—	—			8	57	4	76
Ⓕოთი. . .	11	44			9	75	5	42
Ⓕოთი . .	8	40						
Ⓐხ.-Ⓢენაკი.	—	—			1	18	-	66
Ⓢამტრედია.	—	—			2	6	1	14
Ⓓუთაისი .	11	51			3	4	1	69
Ⓩვირილა. .	—	—			3	98	2	21
Ⓑეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	5	41	1	6	5	84	3	24
Ⓑორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
Ⓜცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Ⓣფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) Ⓕოთიდამ:

Ⓡდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) Ⓢოხუმიდამ:

Ⓕოთს — ოთხშაბათს, დილით.

Ⓡდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

Ⓕოთიდამ:	I		II		III	
Ⓢოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
Ⓒერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
Ⓣაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Ⓡდესამდი.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	Ⓜ.	ᲙᲐᲞ
Ⓡაი სიტყვა Ⓣფილისიდამ:		
Ⓓუთაისს, Ⓕოთს . .	1	—
Ⓑორს, Ⓓუშეთს, სილნახს		50
Ⓡოსტოვს Ⓡდესას Ⓜოსკოვს	2	—
Ⓟეტერბურგს, Ⓕარშავას . .	2	—
Ⓡსამალეთში, Ⓢვეიცარიაში	3	—
Ⓘტალიაში და Ⓢაფრანგეთში.	3	50
Ⓘინგლისში.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) Ⓣფილისიდამ:

Ⓢამზღვარ გარეთ, Ⓓუთაისს, Ⓡუსეთს — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ გარდა. Ⓩუგდ. ოთხშ., Ⓡზურგეთს — პარასკ და ორშაბ. Ⓑაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. Ⓚახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) Ⓓუთაისიდამ:

Ⓣფილისისა და Ⓕოთისაკენ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. Ⓡზურგეთს — ორშ. და პარასკ. Ⓩუგდიდს — ოთხშაბ.

გ) Ⓖორიდამ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) Ⓕოთიდამ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲔᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ და ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	ᲙᲐᲞ
Ⓛია ᲬᲘᲗᲜᲘᲡ	4
ⒹᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	8

ᲑᲘᲠᲭᲐ

	ⓂᲐᲜ.	ᲙᲐᲞ
Ⓟეტერბურგი, 14 იანვ.		
Ⓔრთი მანეთი ღირს:		
Ⓛონდონში 32 პენსი.	—	84
Ⓟარიჟში 334 სანტიმი.	—	89
Ⓜსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
Ⓑანკის ბილეთი 5%	100	25
Ⓜოგებიანი (პირველისესხი)	226	—
Ⓜოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
Ⓑირაოს ფურცლები:		
Ⓣფილ. საახნ. ბანკისა.	94	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	88	—
Ⓜოსკოვის (5%). . . .	86	75
Ⓐ Ⓚ Ⓘ Ⓔ Ⓑ Ⓘ:		
Ⓡდესის სავაჭრო ბანკის	172	—
Ⓕოთი-Ⓣფილ. რკინ. გზის	139	50
Ⓢავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
Ⓚავკაზის და Ⓜერკურის. .	168	—
Ⓟირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
Ⓟეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
Ⓜოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

ⓂᲐᲖᲐᲜᲓᲐ

Ⓣფილისი, 17 იანვ.	ⓂᲐᲜ	ᲙᲐᲞ
Ⓢური Ⓢორაგალის ფთ.	—	90
Ⓒერი ფუთი. . . .	—	55
Ⓑამბა Ⓔრევნისა, ფუთი .	5	40
— Ⓐმერიკისა, ფუთი. .	6	30
Ⓑაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
Ⓜატყული თუშური ფთ .	7	50
— Ⓣარაქამისა ფთ. .	7	50
Ⓐბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
Ⓓონი, ფუთი. . .	4	—
Ⓓონის სანთელი ფუთი.	5	60
Ⓢტეარინის სანთელი, ფ.	10	20
Ⓧორცი ძროხისა, ლიტ.	—	55
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	65
Ⓢპირტი, ვედრო. . .	6	60
Ⓢაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	40
Ⓨაეა გრგვალი ფუთი .	19	25
Ⓑეთი ქუნᲯუთისა ფთ.	6	—
Ⓡქოლ ½ იმპერიალი. .	6	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Января 1876 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ⓢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ⓢ. ᲛᲔᲡᲮᲘ.